ცდსა – “დინამო” (თბილისი)

მოსკოვი. (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორ.).

გუშინდელ მატჩს თბილისის “დინამოსა” და საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის ფეხბურთელთა გუნდს შორის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

თამაში დაიწყო მაღალ ტემპში. თბილისელებმა კარგად დაიწყეს მატჩი და რამდენიმე იერიშის შემდეგ ანთაძემ გამოიყენა რა მოწინააღმდეგე გუნდის დაცვის შეცდომა, გახსნა ანგარიში. ეს მოხდა მე–18 წუთზე. ამის შემდეგ თამაშის დამთავრებამდე მოედნის სრული ბატონ–პატრონი მოსკოველები იყვნენ. არმიელი ფეხბურთელები ჯობნიდნენ დინამოელებს სისწრაფესა და ტექნიკაში. დარჩენილი დროის მანძილზე ისინი ფაქტიურად რასაც უნდოდათ იმას აკეთებდნენ, ხოლო თბილისელები უმწეოდ იცავდნენ თავს. ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა იდგა მეკარე სანაიას თამაში.

დინამოელთა მიერ გატანილი ბურთის შემდეგ მოსკოველმა ემიშევმა ზედიზედ ორი ბურთი მოათავსა “დინამოს” კარში. შემდეგ ფედოროვმა კარგად გამოიყენა 11–მეტრიანი საჯარიმო, რომელიც თბილისელთა კარში დანიშნულ იქნა ელოშვილის შეცდომის გამო – 3:1.

მეორე ტაიმში ღოღობერიძემ ვერ გამოიყენა საპასუხო 11–მეტრიანი საჯარიმო და მალე ბუზუნოვმა ანგარიში 4:1–მდე გაზარდა. შემდეგ არმიელები არ მოსცილებიან “დინამოს” კარს და სავინმა და ბუზუნოვმა კიდევ ორი ბურთი გაიტანეს თბილისელთა კარში – 6:1.

ეს თბილისელთა მეშვიდე დამარცხებაა.

ვ. ხუციძე.

“ლელო”, 21 ივლისი, 1954 წ.